გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 168

2023 წლის 8 სექტემბერი

ქ. გორი

ქ. გორში, ალექსანდრე პუშკინისა და ეგნატე ნინოშვილი ქუჩების კვეთასთან შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და საგზაო მონიშვნების განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, ეგნატე ნინოშვილისა და ალექსანდრე პუშკინის ქუჩების კვეთაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, შეიმუშავა შუქნიშნების და მის მიმდებარედ განსათავსებელი საგზაო ნიშნების და მონიშვნების სქემა.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ ლოკაციებზე განთავსდეს ახალი სქემაში აღნიშნული შუქნიშნები, საგზაო ნიშნები და საგზაო მონიშვნები.

შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და საგზაო მონიშვნების განთავსების სიტუაციური სქემის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

1. ქ. გორში, ალექსანდრე პუშკინისა და ეგნატე ნინოშვილი ქუჩების კვეთასთან განთავსდეს შუქნიშნები, საგზაო ნიშნები და საგზაო მონიშვნები თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად (სქემა თან ერთვის დანართის სახით).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**


4.1.6 მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ
3.4.სატვირთოს მოძრაობა აკრძალულია
5.19.1 და 5.19.2 ქვეითთა გადასასვლელი
4.1.4 მოძრაობა პირდაპირ ან მარჯვნივ
შუქნიშნები ტ1 (ისრებით)
3-27 გაჩერება აკრძალულეია
4.1.5 მოძღაობა პირდაპირ ან მარცხნივ
2.3 დაუთმე გზა
2.1 მთავარი გზა
5.15.1 ზოლებზე მოძრაობის მიმართულებები